

ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების  
სტანდარტული პირობები

**შინაარსი**

1. ტერმინთა განმარტებები .....	3
2. განცხადებები და გარანტიები .....	4
3. ანაზრით სარგებლობის პირობები .....	4
4. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა .....	5
5. კომუნიკაცია .....	5
6. კონფიდენციალურობა .....	6
7. ხელშეკრულების ცვლილება .....	6
8. პრეტენზიები და დავები .....	6
9. ფორს-მაჟორი .....	6
10. გადასახადები .....	6
11. დასკვნითი დებულებები .....	6

ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

**1. ტერმინთა განმარტებები**

- 1.1. თუ წინამდებარე სტანდარტული პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
- 1.1.1. **ანგარიში - ბანკში** არსებული **მეანაზრის** საბანკო ანგარიშ(ებ)ი, მათ შორის **ანაზრის ანგარიში**, **ანაზრის მომსახურე ანგარიში** და სხვა;
- 1.1.2. **ანაზარი (დეპოზიტი) - ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით საკუთრებაში გადაცემული ფულადი თანხა;
- 1.1.3. **ანაზრის ანგარიში - ანგარიში**, რომელზეც ირიცხება **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** გადაცემული ფულადი სახსრები;
- 1.1.4. **ანაზრის მომსახურე ანგარიში - ბანკის** მიერ განსაზღვრული **ანგარიში**, რომელიც გამოიყენება **ანაზართან** დაკავშირებული საბანკო ოპერაციების საწარმოებლად (უნივერსალური (ლიბერტი) ანგარიში, სოციალური ანგარიში და სხვა);
- 1.1.5. **ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება - ბანკსა და მეანაზრეს** შორის, მატერიალური, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის, **ბანკის** კონკრეტული საანაზრე/სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის ძირითადი პირობები და რომელსაც **მეანაზრე** ეთანხმება ხელმოწერის ან ელექტრონული ფორმით განხორციელებული ქმედების (დილაკზე დაჭერა, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, სმს კოდის მოთხოვნა, ვერიფიკაცია და სხვა) საფუძველზე. ელექტრონული თანხმობა ითვლება **მეანაზრის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **ანაზრის ხელშეკრულება** წარმოადგენს ერთიანი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **მეანაზრისათვის** ხელმისაწვდომ, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ არხში;
- 1.1.6. **ბანკი - ანაზრის ხელშეკრულების 1.1 პუნქტში** მითითებული **პირი** - სს „ლიბერტი ბანკი“ (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;
- 1.1.7. **განცხადებები და გარანტიები** - წინამდებარე სტანდარტული პირობების მე-2 მუხლში მოცემული **მეანაზრის** განცხადებები და გარანტიები;
- 1.1.8. **დანართი** - წინამდებარე სტანდარტული პირობები, ასევე ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს, ცვლის, ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ერთიანი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;
- 1.1.9. **ელექტრონული არხი - ბანკის** მიერ განსაზღვრული მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფები ან/და სხვადასხვა ელექტრონული არხები (მათ შორის და არამარტო **მობილური ტელეფონი**, **ინტერნეტ ბანკი**, USSD მენიუ, ვებგვერდი ან/და სხვა ელექტრონული ხელსაწყო / პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საშუალებითაც **მეანაზრეს** ეძლევა საშუალება დაეთანხმოს **ხელშეკრულებას**, გაეცნოს **ხელშეკრულების** თავსართს, **ანაზრის ხელშეკრულების**, **სტანდარტული პირობების** ტექსტს და მათში განხორციელებულ ცვლილებებს/დამატებებს (ასეთის არსებობისას), ასევე აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან/და მიიღოს მის **ანგარიშთან** დაკავშირებული ინფორმაცია **ბანკში** მიუსვლელოდ;
- 1.1.10. **ვადიანი ანაზარი - ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** განსაზღვრული ვადით საკუთრებაში გადაცემული ფულადი თანხა, რომელსაც **ბანკი** არიცხავს სარგებელს და **ხელშეკრულებით** განსაზღვრული(ც) ვადამი/პერიოდულობით უბრუნებს **მეანაზრეს ანაზარზე** დარიცხულ სარგებელთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **ვადიანი ანაზრის** ტიპის **ბანკის** სადეპოზიტო პროდუქტებს წარმოადგენს: ვადიანი ანაზარი, დაგროვებადი ანაზარი, სხვა არსებული ან/და **ბანკის** მიერ მომხმარებლ(ებ)ისათვის მომავალში შეთავაზებული **ვადიანი ანაზრის** ტიპის საბანკო სადეპოზიტო პროდუქტი, რომელზეც გავრცელდება წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები;
- 1.1.11. **ინტერნეტ ბანკი - ბანკის** ერთ-ერთი ელექტრონული არხი, რომლის მეშვეობითაც **მეანაზრეს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **ბანკის** ინტერნეტ გვერდის <http://365.ge> საშუალებით, გაეცნოს **ხელშეკრულების თავსართს**, **ანაზრის ხელშეკრულებას**, **სტანდარტულ პირობებს** და მათში განხორციელებულ ცვლილებებს/დამატებებს (ასეთის არსებობისას), მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;
- 1.1.12. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ

- აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;
- 1.1.13. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის**, **მესამე პირ(ებ)თან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მომრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ზიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- 1.1.14. **მესამე პირ(ები)** - ნებისმიერი **პირი**, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;
- 1.1.15. **მეანაზრე - ანაზრის ხელშეკრულების 1.2 პუნქტში** მითითებული **პირი**, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;
- 1.1.16. **მოთხოვნი ტელეფონი** - ფიქტური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი;
- 1.1.17. **მოთხოვნამდე ანაზარი - ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** განუსაზღვრელი ვადით საკუთრებაში გადაცემული ფულადი თანხა, რომელსაც **ბანკი ხელშეკრულებით** განსაზღვრული მოცულობით არიცხავს სარგებელს და **მეანაზრის** მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნებს მას დარიცხულ **სარგებელთან** ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **მოთხოვნამდე ანაზრის** ტიპის **ბანკის** სადეპოზიტო პროდუქტებს წარმოადგენს: შენახველი ანაზარი, სხვა არსებული ან/და **ბანკის** მიერ მომხმარებლ(ებ)ისთვის მომავალში შეთავაზებული **მოთხოვნამდე ანაზრის** ტიპის საბანკო სადეპოზიტო პროდუქტი, რომელზეც გავრცელდება წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები;
- 1.1.18. **მხარე/მხარეები - ბანკი ან/და მეანაზრე** კონტექსტის შესაბამისად;
- 1.1.19. **პირი/პირები** - ფიზიკური პირ(ები), იურიდიული პირ(ები) (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ები)), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ები) ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;
- 1.1.20. **სააგენტო ან დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო** - „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;
- 1.1.21. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;
- 1.1.22. **საპროცენტო განაკვეთი/პროცენტი - ხელშეკრულების** საფუძველზე განსაზღვრული და **ანაზრის** თანხაზე **ბანკის** მიერ დასარიცხი **სარგებლის** წლიური (წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარული დღე) საპროცენტო განაკვეთის მოცულობა;
- 1.1.23. **სარგებელი/დარიცხული სარგებელი - ბანკის** მიერ **ანაზრით** სარგებლობისათვის **მეანაზრისათვის** გადასახდელი სარგებელი, რომელიც გამოითვლება **ხელშეკრულებით** დადგენილი პირობების შესაბამისად;
- 1.1.24. **სტანდარტული პირობები ან პირობები<sup>1</sup>** - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს **ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების დანართს** და განთავსებულია **მეანაზრისათვის** ხელმისაწვდომ, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ არხში;
- 1.1.25. **ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი - ხელშეკრულების** ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადაზღველო სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული **მხარეთა** ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 1.1.26. **ხელშეკრულება - მხარეთა** შორის გაფორმებული: (ა) **ხელშეკრულების თავსართი (ანაზრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები)**; (ბ) **ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება**; (გ) წინამდებარე სტანდარტული პირობები და (დ) **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი განაცხად(ებ)ის, ან/და ნებისმიერი

<sup>1</sup> წინამდებარე პირობების ამოქმედებამდე გახსნილ შევსებად და სოციალურ ანაზრებზე გავრცელდება ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 2019 წლის 01 იანვრის რედაქცია.

ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

დამატებითი განაცხად(ებ)ის/დანართ(ებ)ის ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.27. ხელშეკრულების თავსართი (ანაბრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) - მატერიალური, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და შენაბრისათვის მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომლითაც შენაბრე ეცნობა ანაბრის მიერთად პირობებს (პროცენტი, ფინანსური ხარჯები და სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია, რომლის შენაბრისათვის მიწოდებაც მოთხოვნილია კანონმდებლობით). ხელშეკრულების თავსართი (ანაბრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) წარმოადგენს ერთიანი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია შენაბრისათვის ხელმისაწვდომ, ზანკის მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ არხში;

1.2. ხელშეკრულებაში მხოლოდ რიცხვში გამოყენებული ტერმინები ან/და სიტყვები უნდა იყოს აღქმული მრავლობით რიცხვში (და პირიქით), თუ თავად ხელშეკრულების შესაბამისი პირობის კონტექსტისა და სხვა რამ არ გამოიმდინარებს.

**2. განცხადებები და გარანტიები**

2.1. შენაბრე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებამოსიან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც ხელშეკრულების დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობლობა);

2.1.2. მის (შენაბრის) მიერ ხელშეკრულების დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს შესაძლო პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე შევიდების უფლებას;

2.1.3. ხელშეკრულების დადების მიზნით, ზანკისათვის წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო წარდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.4. ხელშეკრულების დადების მიზნით, ზანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, შენაბრის ან მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, ზანკს არ გამოუყენებია ბოროტად ზანკის საზარხო ძალაუფლება;

2.1.5. არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებულ მეწარმე ფიზიკურ პირს.

2.1.6. შენაბრე სრულად გაეცნო და მისთვის (შენაბრისთვის) მისაღება ხელშეკრულების თავსართში მოცემული ინფორმაცია, ანაბრის ხელშეკრულების პირობები და წინამდებარე სტანდარტული პირობები;

2.2. შენაბრე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ზანკს ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულებაში მითითებული განცხადებებისა და გარანტიების ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.3. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებას დებენ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით და თვლიან მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული განცხადებების და გარანტიების დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს ზანკის მიერ ხელშეკრულებაზე ცალმხრივი უარის სათქმელად.

**3. ანაბრით სარგებლობის პირობები**

3.1. მოთხოვნამდე ანაბრით სარგებლობის პირობები

3.1.1. მოთხოვნამდე ანაბრის თანხის განთავსება და გაცემა. შენატანები. მოთხოვნამდე ანაბარზე თავდაპირველი და შემდგომი მინიმალური და მაქსიმალური შენატანების ოდენობა და პერიოდულობა არ არის შეზღუდული.

3.1.2. შენაბრე უფლებამოსილია ნებისმიერ საბანკო დღეს ანაბრის ანგარიშიდან სრულად (ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული ანაბრის ან/და მასზე დარიცხული სარგებლის განაღდების დღიური ლიმიტის ფარგლებში) ან ნაწილობრივ გაიტანოს/გადარიცხოს ანაბარი ან/და მასზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობისას), ამასთან ანაბრის ან/და მასზე დარიცხული სარგებლის (ასეთის არსებობისას) ნაღდი ანგარიშსწორების წესით გატანისას, თანხის განაღდება განხორციელდება ანაბრის ანგარიშიდან ზანკის ფილიალების/სერვის ცენტრების საშუალებით, ხოლო უნაღდო

<sup>2</sup> იმ შენაბრეებს, რომლებსაც ზანკში უკვე გააჩნიათ შემნახველი ანაბარი/ანაბრები ერთ ვალუტაში, 2019 წლის 29 მაისიდან მოიგემათ შესაძლებლობა ისარგებლონ ოთხ ვალუტაში შემნახველი ანაბრით და იმავე შემნახველი ანაბრის ანგარიშზე (ერთზე მეტი შემნახველი ანაბრის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთ მათგანზე ზანკის შეხედულებისამებრ) ანაბრის თანხა განათავსონ შემდეგ ვალუტებში: ლარი, აშშ დოლარი, ევრო, გირვანკა სტერლინგი. ოთხვალუტაანი შემნახველი ანაბრის

ანგარიშსწორების წესით განაღდებისას - ანაბრის მომსახურე ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

3.1.3. მოთხოვნამდე ანაბარზე სარგებლის დარიცხვა და მისი გაცემა. ზანკი ვალდებულია ყოველი საბანკო დღის ბოლოს ანაბრის ანგარიშზე არსებულ ნაშთს დაარიცხოს სარგებელი შესაბამის ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, ხოლო დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობისას) ანაბრის ანგარიშზე ასახოს/ჩარიცხოს იმავე ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობით, ყოველი კალენდარული თვის ბოლო რიცხვში.

3.1.4. დამატებითი პირობები შემნახველი ანაბრისთვის. ზანკი შენაბრეს სთავაზობს ოთხვალუტაანი შემნახველი ანაბრის გახსნის შესაძლებლობას, რაც საშუალებას მისცემს შენაბრეს ანაბრის ანგარიშზე თანხა ერთდროულად ან ცალ-ცალკე განათავსოს ოთხ განსხვავებულ ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო, გირვანკა სტერლინგი). ამასთან, ზანკი იტოვებს უფლებას შემნახველი ანაბრის გახსნის მსურველ შენაბრეს პირველი შემნახველი ანაბარი გაუხსნას ოთხივე ვალუტაში, ხოლო ყოველი შემდგომი შემნახველი ანაბრის გახსნის შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, მისცეს შენაბრეს საშუალება ანაბრის ვალუტად თავად აირჩიოს ერთ-ერთი ზემოთ მითითებული ვალუტა.

3.2. ვადიანი ანაბრით სარგებლობის პირობები

3.2.1. ანაბრის თანხის განთავსება შენატანები. ხელშეკრულების საფუძველზე, შენაბრე ზანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, ზანკმა შენაბრის ანაბრის მომსახურე ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული ანაბარზე თავდაპირველი/მინიმალური შენატანის მოცულობა და უზრუნველყოს მისი გადატანა შენაბრის ანაბრის ანგარიშზე. ამასთან, თუ ანაბრის მომსახურე ანგარიშზე უემოხსენებული თანხა არ არსებობს ან არასაკმარისია, შენაბრე ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული თანხის თავის ანაბრის მომსახურე ანგარიშზე განთავსება.

3.2.2. თუ შენაბრე უფლებამოსილია შესაბამისი ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრული თავდაპირველი/მინიმალური შენატანის გარდა, ანაბრის ანგარიშზე მოახდინოს დამატებითი შენატან(ებ)ის განთავსება, დამატებითი შენატან(ებ)ის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება იმავე ანაბრის ხელშეკრულებით. სხვა შემთხვევაში შენაბრე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ზანკისგან ანაბრის ანგარიშზე დამატებითი შენატან(ებ)ის განთავსება.

3.2.3. სარგებლის დარიცხვა. ზანკი ვალდებულია დაარიცხოს ანაბარს სარგებელი შესაბამის ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, ხოლო ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამოწურვისას დაუბრუნოს შენაბრეს მის მიერ შემოტანილი ანაბარი.

3.2.4. თუ შენაბრესა და ზანკს შორის გაფორმებულია ანაბრის ხელშეკრულება („დაგროვებადი“ ანაბარი), შენაბრის შემდგომ შენატანებს სარგებელი დარიცხება ანაბრის ხელშეკრულების დარჩენილი ვადისთვის ზანკში დადგენილი შესაბამისი წლიური საპროცენტო განაკვეთის მოცულობით.

3.2.5. ანაბრის ან/და მასზე დარიცხული სარგებლის გაცემა. ზანკი ვალდებულია შენაბრეს ანაბრის მომსახურე ანგარიშზე ჩაურიცხოს დარიცხული სარგებელი შესაბამისი ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობით, იმის გათვალისწინებით, რომ:

3.2.5.1. თუ ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრულია სარგებლის შენატანისთვის წინასწარ გაცემა, სარგებელი შენატანის ანაბრის მომსახურე ანგარიშზე ჩაირიცხება ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს;

3.2.5.2. თუ ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრულია სარგებლის შენატანისთვის ყოველთვიურად გაცემა, სარგებელი ანაბრის მომსახურე ანგარიშზე ჩაირიცხება ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში, რომელშიც გაფორმდა ანაბრის ხელშეკრულება. ხოლო, თუ ანაბრის მოქმედების კონკრეტულ კალენდარულ თვეში არ არსებობს ანაბრის ხელშეკრულების გაფორმების კალენდარული რიცხვი, სარგებლის ჩარიცხვა ანაბრის მომსახურე ანგარიშზე განხორციელდება აღნიშნული კალენდარული თვის ბოლო რიცხვში;

3.2.5.3. თუ ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრულია სარგებლის შენატანისთვის ანაბრის მოქმედების ვადის ბოლოს გაცემა, სარგებელი შენატანის ანაბრის მომსახურე ანგარიშზე ჩაირიცხება ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული ანაბრის მოქმედების ვადის ბოლო კალენდარულ დღეს.

3.2.6. შენაბრე უფლებამოსილია ანაბარი ან/და მასზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოითხოვოს/გაიტანოს (გადარიცხოს) მხოლოდ ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში და პერიოდულობით.

ხელშეკრულების პირობების (მათ შორის მნიშვნელოვანი პირობების) სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ლინკს: <http://bit.ly/2K7OHEE>, ხოლო ხელშეკრულების მატერიალური ფორმით მისაღებად მოზრძანდეთ ზანკის ნებისმიერ ფილიალში / სერვის ცენტრში.

ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

3.2.7. ანაზრის ხელშეკრულებაში („დაგროვებადი“ ანაზარი) მითითებულ ანაზრის მოქმედების ვადაზე ადრე ანაზრის ნებისმიერი შენატანის თანხის სრულად ან ნაწილობრივ მოთხოვნა/გატანა (გადარიცხვა) ჩაითვლება **მეანაზრის** მხრიდან **ხელშეკრულების** ვადაზე შეწყვეტად (დარღვევად), რა შემთხვევაშიც **ბანკი ანაზარს** დაარიცხავს **სარგებელს სტანდარტული პირობების** 4.3.2 ქვეპუნქტში მითითებული პირობების მიხედვით.

3.3. **სხვა დამატებითი პირობები.** ბანკი უფლებამოსილია განკარგოს **ანაზრის ანგარიშზე** რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ.

3.4. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში **მეანაზრეს, ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, უფლება არა აქვს განახორციელოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ანაზრის ან/და სარგებლის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგროვება ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ანაზრის ან/და სარგებლის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხაზე მოთხოვნის უფლების დათმობა.

3.5. თუ **ბანკთან** გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის (შემდგომში - **პირითადი ხელშეკრულებ(ებ)ა**) საფუძველზე, **ანაზარი** წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს, **მეანაზრე პირითადი ხელშეკრულების** მოქმედების მანძილზე უარს ამბობს მის უფლებაზე ვადაზე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის/მოშვალის **ანაზრის ხელშეკრულებ(ებ)ი** ან/და სრულად ან ნაწილობრივ მოითხოვოს **ანაზრის** თანხა.

3.6. **მეანაზრე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

3.6.1. **მეანაზრის ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკომისიო, პირგასამტეხლო, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს **მეანაზრის ბანკის** მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების ან/და სხვა ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად (ასეთების არსებობისას);

3.6.2. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება (ასეთის არსებობისას) ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მეანაზრის ანგარიშიდან**.

3.6.3. **მეანაზრე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** შესაძლოა **პირ(ებ)ის** მიერ **ანაზარზე** განთავსების მიზნით **ანაზრის მომსახურე ანგარიშზე** ჩარიცხული/შემოტანილი თანხები, უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და უზრუნველყოს მათი გადატანა **ანაზრის ანგარიშზე**.

3.7. **მეანაზრე** ვალდებულია სრულად შეინახოს **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია.

**4. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა**

4.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4.2. **მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა**  
4.2.1. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულების** ვადაზე შეწყვეტა:

4.2.1.1. **ბანკის** მიერ, თუ **მეანაზრე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, **განცხადებებს და გარანტიებს**);

4.2.1.2. **ბანკის** მიერ, თუ **ანაზრის ანგარიშზე** 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში არ დაფიქსირდება დადებითი ნაშთი;

4.2.1.3. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

4.2.1.4. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მათ შორის **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე).

4.2.2. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, **სარგებლის ანაზრის ანგარიშზე** ჩარიცხვის/ასახვის დღიდან **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე არსებულ პერიოდში, **ბანკი** ყოველი კალენდარული დღის ბოლოს **ანაზრის ანგარიშზე** არსებულ ნაშთებს დაარიცხავს **სარგებელს** შესაბამის **მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულებაში** მითითებული **სარეგულაციო განაკვეთის** გათვალისწინებით, ხოლო **დარიცხულ სარგებელს ანაზრის ანგარიშზე** ასახავს/ჩარიცხავს **ხელშეკრულების** შეწყვეტის (დარღვევის) დღეს.

4.3. **ვადადანი ანაზრის ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა**  
4.3.1. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადაზე შეწყვეტა:

4.3.1.1. **ბანკის** მიერ, თუ **მეანაზრე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, **განცხადებებს და გარანტიებს**);

4.3.1.2. **ბანკის** მიერ, თუ **მეანაზრე ბანკისაგან** მოითხოვს **ვადადანი ანაზრის** ან/და მასზე **დარიცხული სარგებლის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე გატანას (გადარიცხვას);

4.3.1.3. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

4.3.1.4. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მათ შორის **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე).

4.3.2. **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტის (დარღვევის) შემთხვევაში **სარგებლის** კალკულაცია განხორციელდება შემდეგი პრინციპით: შესაბამის **ვადადანი ანაზრის ხელშეკრულებაში** მითითებული **პროცენტი**, განაგარიშებული **ანაზრის** შემოტანიდან ფაქტობრივად გასული დღეების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, თუ **მეანაზრეს** უკვე მიღებული აქვს თავის **ანაზარზე** დარიცხული **სარგებელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იგი (**სარგებელი**) გამოიქვითება **ანაზრის** ან/და **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტის შედეგად **დარიცხული სარგებლიდან** და **ბანკის** მიერ ჩამოიჭრება **მეანაზრის ანაზრის მომსახურე ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით.

4.4. **ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა პირობები**

4.4.1. **ხელშეკრულების** შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მეანაზრეს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულებების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომდევნად.

4.4.2. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** თავისუფლდება **ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

4.4.3. **ხელშეკრულების** შეწყვეტის ან მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, **ანაზარი** ან/და მასზე დარიცხული **სარგებელი** (ასეთის არსებობისას) **ბანკის** მიერ ჩარიცხება მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის შემთხვევაში **ანაზრის ხელშეკრულებაში** მითითებულ **ანაზრის ანგარიშზე**, ხოლო ვადიანი ტიპის ანაზრის შემთხვევაში - **ანაზრის ხელშეკრულებაში** მითითებულ **ანაზრის მომსახურე ანგარიშზე** და **ბანკი** შეწყვეტს **ანაზარზე სარგებლის** დარიცხვას.

**5. კომუნიკაცია**

5.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერს (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიქსირი კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტ ბანკის, მობილ ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

5.1.1. **მეანაზრის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ - **მეანაზრისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

5.1.2. **ბანკის** მიერ **მეანაზრისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მეანაზრისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **მეანაზრის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.1.3. **ბანკის** მიერ **მეანაზრისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მეანაზრის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.1.4. **ბანკის** მიერ **მეანაზრისათვის** ფიქსირი კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტ ბანკის, მობილ ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

5.2. თუ **მეანაზრე ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **მეანაზრეს** მისამართზე არყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

5.3. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **მეანაზრესთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

5.4. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მეანაზრესთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **მეანაზრისთვის** განკუთვნილი შეტყობინება

ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

(როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **მეანაზრის ანგარიშზე** შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების **მეანაზრისთვის** მიწოდება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი ანაზრის ან სხვა პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.

5.5. **ბანკი** უფლებამოსილია **მეანაზრისთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში მეანაზრის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **მეანაზრის** შესახებ დაფიქსირებული, ან თავად **მეანაზრის** მიერ მესამე პირების შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **მეანაზრის** ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და **ბანკის** სხვა **მეანაზრის ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პრიოტით.

5.6. **მეანაზრე** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვევოს იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **მეანაზრეს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **მეანაზრემ** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

## 6. კონფიდენციალურობა

6.1. **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური და ფინანსური მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას (შემდგომში - **კონფიდენციალური ინფორმაცია**).

6.2. **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

6.3. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** შესაკუთრებ **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

6.4. **მეანაზრე ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, ფინანსური ან/და საინფორმაციო-ანალიტიკური მონაცემების შეგროვების მიზნით, **მესამე პირ(ებ)ს** გადასცეს ან/და **მესამე პირ(ებ)ისაგან** (მათ შორის ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვა) მიიღოს, **მეანაზრის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

## 7. ხელშეკრულების ცვლილება

7.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **მეანაზრისათვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**მეანაზრის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

7.1.1. **ხელშეკრულებით** ან **პირობებში** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;

7.1.2. **ხელშეკრულებაში** ან **პირობებში** ხორციელდება ახალი პროდუქტის ან დამატება ან არსებულის შეცვლა, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **პირობებში** არსებულ მომსახურებებს.

7.2. თუ **მეანაზრე** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს**. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **მეანაზრე** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

7.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **მეანაზრე** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ამასთან, თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **მეანაზრის** მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

## 8. პრეტენზიები და დავები

8.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.

8.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები**

თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

8.3. **მეანაზრე** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების მეშვეობით, ან/და ელექტრონული ფორმით **ბანკის** კორპორატიული ვებ გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) ან/და ელ-ფოსტა [ConsumerProtection@lb.ge](mailto:ConsumerProtection@lb.ge) საშუალებით, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით, **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

8.4. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთი) თვეს.

8.5. **მეანაზრეს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის <http://libertybank.ge> საშუალებით.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შესრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** მოქმედების შედეგად.

9.2. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება **ფორს-მაჟორის** ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლებად **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღმოფხვრისთანავე.

## 10. გადასახადები

10.1. **მეანაზრე** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე. **მეანაზრე** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელო გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება").

10.2. **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **მეანაზრისაგან** მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი საგადახადო ვალდებულება უნდა შესრულდეს თანხების დაკავების გზით, **ბანკი** ან/და ნებისმიერი შვილობილი/აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას მოახდენს **მეანაზრის** ხარჯზე ან/და **მეანაზრის ანგარიშიდან** თანხის უქვეპოდ ჩამოჭრის გზით, რის თაობაზეც **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მიაწოდოს ინფორმაცია **მეანაზრეს**. თუ კანონის შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **მეანაზრის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **მეანაზრე** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

10.3. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს **კანონმდებლობით** და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს **კანონმდებლობასთან** ერთად **მეანაზრემ** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **მეანაზრე** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

## 11. დასკვნითი დებულებები

11.1. თუ **ანაზრის** დაბრუნების ან/და მასზე **დარიცხული სარგებლის ანაზრის მომსახურე ანგარიშზე** განთავსების თარიღი ემთხვევა არა **საბანკო დღეს**, **მეანაზრის** მიერ თანხის გატანა (გადარიცხვა) განხორციელდება მომდევნო **საბანკო დღეს**.

11.2. **მეანაზრე** ვალდებულია დაიცავს საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის წვდომის კოდების) კონფიდენციალურობა. **მეანაზრე** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** **მოხილული ტელეფონის** ან/და მისი (**მოხილული ტელეფონის**) ნომრის დაკარგვის, **მეანაზრის** მიერ ტელეფონის ნომრის მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, სხვისთვის გადაცემის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **მეანაზრისთვის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

11.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მეანაზრის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული **მოხილული ტელეფონის** ნომრის შეცვლის, გასხვისების,

ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

**მობილური ტელეფონის** ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

11.4. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

11.5. დაუშვებელია **ხელშეკრულებაში** ხელით (მათ შორის კალმით ან/და სხვა საწერი საშუალებებით) რაიმე სახის ჩასწორების/კორექტირების შეტანა, ნებისმიერი ასეთი სახის ჩასწორება/კორექტირება ჩათვლება ბათილად და ვერ მოახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

11.6. **მენაზრე** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებს)** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **მესამე პირებსაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

11.7. **ბანკი** უფლებამოსილია, **მენაზრის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებს)** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები.

11.8. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლელებზე.

11.9. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი

შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

11.10. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებ(ებ)ის (მათ შორის **მენაზრის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისას წარმოშობილი უფლებ(ებ)ის) გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებებზე **ბანკის** მიერ უარის თქმის საფუძველს. ამასთან, ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითა და დაემატება **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

11.11. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამოუყენებული მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

11.12. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **სტანდარტული პირობებიც** განთავსებულია **მენაზრისათვის** ხელმისაწვდომ ელექტრონულ არხში. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **სტანდარტულ პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **სტანდარტულ პირობებთან** მიმართებაში.

2018 წლის 1 იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 5,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: [www.diagency.ge](http://www.diagency.ge).

**რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ?** – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 5,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 5,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

**როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით?** – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე;

**კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები;

**ანაზღაურების ვალუტა** - ლარი.

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში, 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე <http://libertybank.ge>;

სს „ლიბერთი ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - <http://nbg.gov.ge>;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.